

შპს „ერ მენეჯმენტი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	4
1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი.....	6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. ამონაგები	7
5. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....	7
6. მიწოდების ხარჯები.....	7
7. ძირითადი საშუალებები.....	8
8. ფული და ფულის ექვივალენტები	9
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	9
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10
11. პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	10

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

		12/31/2023	12/31/2022
ამონაგები	4	7,509,407	3,431,695
თვითღირებულება		-	-
საერთო მოგება		7,509,407	3,431,695
სხვა შემოსავლები		-	1,181
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	5	(6,612,857)	(3,175,469)
მიწოდების დანახარჯები	6	(116,923)	(3,390)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		(103)	
სხვა ხარჯები		-	(295,559)
საოპერაციო მოგება		779,524	(41,542)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		-	-
მოგება დაბეგვრამდე		779,524	(41,542)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		779,524	(41,542)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
პერიოდის სრული შემოსავალი		779,524	(41,542)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 30 სექტემბერს:

ფინანსური დირექტორი ----- გ. გიგაური

შპს „ერ მენეჯმენტი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

ფინანსური მდგომარეობის უწყისი

		12/31/2023	12/31/2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	696,959	101,228
		696,959	101,228
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	24,547	11,562
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	9	506,607	11,258
მარაგები		-	-
		531,153	22,820
მთლიანი აქტივები		1,228,113	124,048
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		537,214	(242,427)
		537,214	(242,427)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		-	-
		-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები		218,586	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	188,505	112,474
საგადასახადო ვალდებულებები		283,808	254,001
გადასახდელი პროცენტი		-	-
გადასახდელი დივიდენდი		-	-
		690,899	366,475
მთლიანი ვალდებულებები		690,899	366,475
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		1,228,113	124,048

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 30 სექტემბერს:

ფინანსური დირექტორი ----- გ. გიგაური

შპს „ერ მენეჯმენტი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 1 იანვარი	-	(200,128)	(200,128)
წმინდა მოგება	-	(41,542)	(41,542)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
გასული პერიოდის ცვლილებების გავლენა	-	(757)	-
გაცემული დივიდენდი	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი		(242,427)	(242,427)
წმინდა მოგება	-	779,524	779,524
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
გასული პერიოდის ცვლილებების გავლენა	-	117	117
გაცემული დივიდენდი	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	-	537,214	537,214

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 30 სექტემბერს:

ფინანსური დირექტორი ----- გ. გიგაური

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს ვრ მენეჯმენტი (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2020 წლის 26 ივნისს და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404597780.

ძირითადი საქმიანობა. შპს ვრ მენეჯმენტის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საოფისე, ადმინისტრაციული მომსახურების გაწევა.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, კრწანისის რაიონი, ა. ჯაფარიძის ქ., N22ა

კომპანიის დამფუძნებელი და 100 % წილის მფლობელია ნოშრევან ნამორაძე.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) საფუძველზე. აღნიშნულ სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. ეს ვერსია გამოყენებულია 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და შემდგომ პერიოდებში - მსს ფასს საანგარიშო პერიოდის ბოლომდე.

მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს კომპანიას არ გაუკეთებია რაიმე სახის კორექტირება, გამომდინარე იქიდან, რომ მსს ფასს-ზე გადასვლას არ ჰქონია არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

კომპანიის საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძველად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით ან განმარტებითი შენიშვნებით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

3.2) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა“.

2023, 2022 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844

4. ამონაგები

ამონაგები - მოიცავს მომსახურების გაწევიდან მისაღებ ფულად სახსრებს ან სხვა საგებელს. ამონაგების აღიარება ხდება მაშინ როდესაც საქონელზე რისკი და სარგებელი გადაეცემა საქონლის მყიდველს

შემოსავლის აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე.

	2023	2022
მომსახურების გაწევა	7,509,407	3,431,695
სულ	7,509,407	3,431,695

5. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიის ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებს აქვს შემდეგი სახე:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
შრომის ანაზღაურება	5,379,349	3,095,908
საიჯარო ქირა	212,755	33,050
კომუნალური ხარჯები	28,418	-
დაზღვევის ხარჯი	112,132	36,118
სხვა ხარჯი	822,004	-
ცვეთა და ამორტიზაცია	58,200	10,392
სულ	6,612,857	3,175,469

6. მიწოდების ხარჯები

	2023	2022
რეკლამის ხარჯი	90,639	3,390
მარკეტინგული ხარჯი	26,283	-
სულ	116,923	3,390

7. ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად. ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

	კავშირგაბმუ ლობის მოწყობილობ ები	კომპიუტერები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სხვა	სულ
31 დეკემბერი 2022	34,047	68,947	5,847	-	3,804	112,645
შემოსვლა	46,722	236,711	193,792	160,591	22,426	660,243
გასვლა		(6,312)				(6,312)
31 დეკემბერი 2023	80,769	299,346	199,640	160,591	26,230	766,576
ცვეთა და გაუფასურება						
31 დეკემბერი 2022	(3,412)	(7,176)	(197)	-	(633)	(11,418)
პერიოდის ცვეთა	(2,048)	(28,877)	(14,001)	(10,647)	(2,627)	(58,200)
გაუფასურება	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	(5,460)	(36,053)	(14,198)	(10,647)	(3,260)	(69,618)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2022	30,635	61,771	5,651	-	3,171	101,228
31 დეკემბერი 2023	75,309	263,293	185,442	149,944	22,970	696,959

8. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფული ექვივალენტები- წარმოადგენს კომპანიის საბანკო ანგარიშებზე არსებულ ფულად სახსრებს, როგორც ეროვნულ ასევე უცხოურ ვალუტაში

	2023	2022
ნაღდი ფული სალაროში	-	-
ეროვნული ვალუტა ბანკში	24,547	11,562
უცხოური ვალუტა ბანკში	-	-
სულ	24,547	11,562

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები - არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები.

გაცემული ავანსები-წარმოადგენს საქონლის/მომსახურების შესაძენად წინასწარ გადახდილ თანხებს.

	2023	2022
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	336,995	-
გადახდილი ავანსები	169,612	11,258
მოთხოვნა დაკავშირებული მხარეებისადმი	-	-
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხი	-	-
სულ	506,607	11,258

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2023	2022
სავაჭრო ვალდებულებები	188,505	112,474
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეებისადმი	218,586	-
სულ	407,091	112,474

11. პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.